კახაბერ დემეტრაშვილი
გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი

მეფე ბორის გოდუნოვის ინიციატივით სეფიანთა სახელმწიფოში მივლინებული პირველი ელჩობის ისტორია

აბსტრაქტი

1578 წელს დაწყებული ოსმალეთ-ირანის ომი 1590 წლის სტამბოლის ზავით დასრულდა. ამ ზავმა დიდი უკმაყოფილება გამოიწვია, როგორც მოსკოვის სახელმწიფოში, ისე - დასავლეთ ევროპის ქვეყნებში. ამის გამო, დროებით შეწყდა დიპლომატიური ურთიერთობა მოსკოვის სახელმწიფოსა და სეფიანთა ირანს შორის. ამ ზავით მიღებული შესვენება ირანის შაჰმა აბას I-მა (1587-1629) გამოიყენა იმისთვის, რომ მოეგვარებინა რამდენიმე საშინაო საქმე, რომელთა შორის მან დიდი მნიშვნელობა მიანიჭა ირანის სახელმწიფოში აჯანყებების ჩაქრობასა და არმიის გაძლიერებას. 1592-1593 წლებში მოსკოვის სახელმწიფოში კვლავ დაისვა სეფიანთა ირანთან სამხედრო-პოლიტიკური კავშირის შექმნის საკითხი. ამიტომაც, კვლავ განახლდა ამ სახელმწიფოებს შორის ელჩების მიმოსვლა, ხოლო 1600 წელს, მეფე ბორის გოდუნოვის (1598-1605) ინიციატივით, ირანთან სამხედრო-პოლიტიკური კავშირის დამყარების მიზნით, შაჰ აბასთან გაიგზავნა ელჩობა ა. თ. ჟიროვოი-ზასეკინის მეთაურობით. ამ ელჩობის ისტორიასთან დაკავშირებით, სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს სხვადასხვა მოსაზრება. ერთი ვერსიით, ამ ელჩობამ მიზანს ვერ მიაღწია, რადგან, გაურკვეველი მიზეზების გამო, ის ასტრახანიდან უკან, მოსკოვში დააბრუნეს. სხვა ვერსიით, ამ ელჩობამ ირანში ჩააღწია და მოლაპარაკეებები გამართა ირანის შაჰთან.

საკვანძო სიტყვები: *სეფიანთა ირანი, მოსკოვის სახელმწიფო, ოსმალეთის იმპერია, ჟიროვოი-ზასეკინი, ზასეცკი, ფერ ყული ბეგი, მეფე ბორის გოდუნოვი, შაჰი აბას I.*

წინამდებარე ნაშრომის ძირითადი მიზანია, XVII საუკუნის დასაწყისში მოსკოვის სახელმწიფოს მხრიდან სეფიანთა ირანში მოწყობილი ელჩობის წინა პლანზე წარმოჩენა. ამ ორი სახელმწიფოს დიპლომატიური ურთიერთობის განსამტკიცებლად ფრიად მნიშვნელოვანი იყო ელჩობა, რომლის ისტორია სამეცნიერო ლიტერატურაში განსხვავებულადაა მოცემული. ეს ელჩობა იყო მოსკოვის სახელმწიფოს ახალი მეფის, ბორის გოდუნოვის, ინიციატივით ირანის შაჰთან გაგზავნილი პირველი ელჩობა, რომელიც მოეწყო 1600-1603 წლებში და მას ხელმძღვანელობდა ალექსანდრე თევდორეს ძე ჟიროვოი-ზასეკინი.

აღნიშნული საკითხის უკეთ წარმოსაჩენად მიზანშეწონილად მივიჩნიეთ, მოკლედ მიმოგვეხილა ახლო აღმოსავლეთის, როგორც ხსენებული ხანის, ასევე, მისი წინა პერიოდის მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენები.

დიდი ხნის განმავლობაში ოსმალეთის იმპერია და სეფიანთა ირანი ცდილობდნენ კავკასიაში გაბატონებას. ამ ტერიტორიის ხელში ჩასაგდებად მათ

შორის გამართული ბრძოლები გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა. XVI საუკუნიდან მსგავსი ინტერესით გამოვიდა მომძლავრებული მოსკოვის სახელმწიფო (რუსეთი), რომლის მზარდი ცენტრალიზებული მმართველობის საგარეო პოლიტიკის წინაშე განსაკუთრებული სიმწვავით დადგა კასპიის ზღვაზე გასვლის საკითხი. ამ პრობლემის გადაწყვეტის საბაბით, მან დაიპყრო 1552 წელს ქ. ყაზანი და 1556 წელს - ქ. ასტრახანი. კასპიის ზღვაზე გასვლას მოსკოვის სახელმწიფოსთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან ამით ის აღმოსავლეთის ქვეყნებთან ვაჭრობის გაფართოებას უკეთ შეძლებდა.[1]

თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ სეფიანთა ირანსა და მოსკოვის სახელმწიფოს შორის მუდმივ სავაჭრო და დიპლომატიურ ურთიერთობებს საფუძველი ჩაეყარა XVI საუკუნის 80-იანი წლებიდან. ამ ურთიერთობის უმთავრესი მიზეზი იყო ამ ორი ქვეყნის უარყოფითი განწყობა გაძლიერებული ოსმალეთის იმპერიის მიმართ, რომელიც სეფიანთა და მოსკოვის სახელმწიფოებს თავიანთ უმთავრეს მოწინააღმდეგედ მიაჩნდათ.[2] ამას დაემატა ის ფაქტი, რომ 1578 წელს ოსმალეთმა ირანის წინააღმდეგ ომი დაიწყო და თავდაპირველად საგრძნობ წარმატებებსაც მიაღწია.[3]

გართულებულმა სიტუაციამ აიძულა ირანის სახელმწიფოს მესვეურები, მოკავშირე მოეძებნათ. მათ გაითვალისწინეს ოსმალეთის იმპერიის მიმართ მოსკოვის სახელმწიფოს უარყოფითი დამოკიდებულება, რომელიც გამოწვეული იყო პოლიტიკურ-ეკონომიკური მეტოქეობით და არჩევანი მასზე შეაჩერეს. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ სეფიანთა და მოსკოვის სახელმწიფოთა შორის ეს ურთიერთობა, გარკვეული მიზეზთა გამო, პერიოდულად, წყდებოდა და კვლავ განახლდებოდა ხოლმე. ურთიერთობის შეწყვეტის მიზეზი იყო ოსმალეთის იმპერიასა და სეფიანთა ირანს შორის დადებული 1590 წლის საზავო ხელშეკრულება, რამაც დიდი უკმაყოფილება გამოიწვია, როგორც მოსკოვის სახელმწიფოში, ისე - დასავლეთ ევროპის ქვეყნებში.[4] ეს ქვეყნები დაინტერე-სებულნი იყვნენ ირან-ოსმალეთის ომის გაგრძელებით. დასავლეთ ევროპაში შიშობდნენ, რომ ირანის დამარცხების შემდეგ, ოსმალეთი მთელი თავისი ძალით დასავლეთს მიუბრუნდებოდა. მოსკოვი კი იმით იყო შეწუხებული, რომ გაძლიერებული ოსმალეთი მხოლოდ სამხრეთ კავკასიის ხელში ჩაგდებით არ დაკმაყოფილდებოდა და შეიძლება, ეცადა ჩრდილოეთ კავკასიის დასაკუთრებაც.

---

[1] თამარ ტივაძე, „ირანთან ურთიერთობის საკითხი რუსეთის საგარეო პოლიტიკაში XVI-XVII საუკუნეთა მიჯნაზე“, თსუ-ს შრომები, ტომი 113, ისტორიულ მეცნიერებათა სერია V (1965): 176; Екатерина Николаевна Кушева, Народы Северного Кавказа и их связи с Россией в XVI-XVII вв.,(Москва: Издательство Академии Наук СССР, 1963), 202-208.

[2] კახაბერ დემეტრაშვილი, „სეფიანთა ირანსა და მოსკოვის სახელმწიფოს შორის რეგულარული დიპლომატიური ურთიერთობის დაწყების მიზეზები (XVI საუკუნის 80-იანი წლები)“, დუნია №1 (2023): 79-81.

[3] სერგი ჯიქია, იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა, შესავალი და შენიშვნები დაურთო სერგი ჯიქიამ (თბილისი: „მეცნიერება“, 1964), 38-55; ნანა გელაშვილი, ირან-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან, (XVI ს.) (თბილისი: „მეცნიერება“, 1995), 147-162.

[4] დავით კაციტაძე, ირანის ისტორია, III-XVIII საუკუნეები (თბილისი: ჰოროსი XXI, 2009). 404; მიხეილ სვანიძე. თურქეთის ისტორია (1299-2000), (თბილისი: არტანუჯი, 2007), 174; Октай Абдулкерим оглы Эфендиев, Азербаиджанское государство Сефевидов в XVI веке, Баку: Издательство «Элм», 1981, 198.

XVI საუკუნის 90-იან წლებში მოსკოვის სახელმწიფომ კვლავ განაახლა ირანთან შეწყვეტილი ურთიერთობა და შეეცადა სეფიანთა სახელმწიფოსთან შეეკრა სამხედრო კავშირი საერთო მტრის - ოსმალეთის იმპერიის წინააღმდეგ. 1594 წელს მეფე თევდორემ (1584-1598), დიპლომატიური ურთიერთბის აღდგენის მიზნით, თავისი ელჩობა გაგზავნა ირანის შაჰთან, რასაც შაჰ აბასის მხრიდან მოჰყვა საპასუხო ელჩობა მოსკოვში. ამის შემდეგ, რამდენიმე წლის განმავლობაში, ამ ორ სახელმწიფოთა შორის დიპლომატიური ურთიერთობა უფრო გახშირდა და გაღრმავდა. [5]

ზემოთ ნახსენებ ჟიროვოი-ზასეკინის ელჩობას (1600-1603 წლები) წინ უსწრებდა ირანის შაჰის მხრიდან მოსკოვში გაგზავნილი ელჩობა ფერ ყული ბეგის მეთაურობით (1599-1601). ცნობილია, რომ ამ ელჩს გამეფება უნდა მიელოცა მოსკოვის სახელმწიფოს ახალი მეფისთვის, ბორის გოდუნოვისთვის, რომელიც მოსკოვის სახელმწიფოს სამეფო ტახტზე ავიდა 1598 წელს გარდაცვლილი მეფე თევდორეს ნაცვლად. ასევე, ელჩობას ევალებოდა მოსკოვის სახელმწიფოსთან სავაჭრო საქმეების მოგვარება. მკვლევარ-ისტორიკოსი პეტრე პავლეს ძე ბუშევი ვარაუდობს, რომ ფერ ყული ბეგის ელჩობამ მოსკოვის სახელმწიფოსთან ოსმალეთის იმპერიის წინააღმდეგ კავშირს ჩაუყარა საფუძველი, რადგან ამ ამბიდან მალევე, კერძოდ, მოსკოვის სახელმწიფოს მთავრობის 1600 წლის 12 სექტემბრის გადაწყვეტილებით, ირანში საპასუხო ელჩობა გაიგზავნა. [6] ამ ელჩობის მეთაურად დაინიშნა თავადი ალექსანდრე თევდორეს ძე ჟიროვოი-ზასეკინი. მეორე ელჩად დანიშნეს დიდგვაროვანი თემირ ვასილის ძე ზასეცკი, ხოლო ელჩობაში რანგით მესამე პირი იყო მდივანი (კლერკი) ივანე შარაპოვი. მათ გარდა, ელჩობაში ირიცხებოდა სხვადასხვა რანგის დამხმარე პერსონალი: მდივნის თანაშემწე პეტრე დანილოვი, თარჯიმნები: პეტრე მურატოვი და ვასილი ეპანჩინი და სონღულის სამი მომთვინიერებელი (ბაზიერი) - ბოგდან მურატოვი, გავრილ მიკულინი და მიხეილ პეტროვი. როგორც ჩანს, მოსკოვის სახელმწიფოს ხელისუფლება ამ ელჩობას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა. ეს კარგად ჩანს იმ ძვირფასი საჩუქრებიდანაც, რომლებიც გათვალისწინებული იყო ირანის შაჰისა და მისი ვაჟისთვის. შაჰ აბასისათვის გაკუთვნილი იყო: თორმეტი სონღული, ორი ცოცხალი სიასამური, ჯავშანი ათი ოქროს რგოლით, მოოქროვილი ფილთა თოფი გერმანული საპირისწამლით, ძვირფასი ქსოვილები, მათ შორის, წითელი მაუდი, სიასამურისა და შავი მელის ბეწვეული და სხვა. უფლისწულ სეფის კი მეფე ბორისის ვაჟი, თევდორე, უგზავნიდა: ორ სონღულს, ორ სიასამურს, სარეკ საათს და ბეწვეულს.[7]

ზემოთ ნახსენები 1600 წლის 12 სექტემბრის გადაწყვეტილებით, რუსთა ელჩობა ფერ ყული ბეგის ელჩობასთან ერთად გაემგზავრა ირანში. მათ, ასევე,

---

[5] Петр Павлович Бушев, История посольств и дипломатических отношений Русского и Иранского государств в 1586-1612 гг. (Москва: Издательство “Наука”, 1976), 441-442.

[6] Бушев, История посольств и дипломатических отношений Русского и Иранского государств в 1586-1612 гг., 336, 357-359; ტივაძე, „ირანთან ურთიერთობის საკითხი რუსეთის საგარეო პოლიტიკაში“: 195.

[7] Бушев, История посольств и дипломатических отношений Русского и Иранского государств в 1586-1612 г., 359-360.

გააყოლეს 1598 წელს მოსკოვში დაკავებული ირანის შაჰის ელჩი ჰადი ბეგი (ანდი ბეგი). [8]

უნდა აღინიშნოს ის, რომ მოსკოვის სახელმწიფოს სამეფო კარზე ჩქარობდნენ ჟიროვოი-ზასეკინის ელჩობის გამგზავრებას. ეს იმიტომ, რომ რამდენიმე წლით ადრე, 1597 წლის გაზაფხულზე, ირანში გაიგზავნა მეფე თევდორეს ელჩობა თავად ვასილი ვასილის ძე ტიუფიაკინისა და სემიონ ემელიანოვის მეთაურობით. ელჩობა გამიზნული იყო იმისათვის, რომ შაჰ აბასისთვის ეცნობებინათ თევდორე მეფის წინადადება, დაეწყოთ ირანსა და მოსკოვის სახელმწიფოს ერთობლივი ომი ოსმალეთის წინააღმდეგ. მაგრამ ეს ელჩობა ჩაიშალა, რადგან ტიუფიაკინიც და ემელიანოვიც გზაში მალარიით გარდაიცვალნენ (ტიუფიაკინი კასპიის ზღვაზე მგზავრობისას, ხოლო ემელიანოვი - ირანში, ლახიჯანთან ახლოს), ხოლო უმეთაუროდ დარჩენილი საელჩოს დანარჩენი წევრები, რომლებსაც უფლებამოსილება არ გააჩნდათ ირანის შაჰთან გაემართათ მოლაპარაკებები, 1599 წელს უკან გაბრუნდნენ. უნდა აღინიშნოს, რომ მოსკოვის სახელმწიფოს სამეფო კარზე გაითავალისწინეს ეს ფაქტი და ჟიროვოი-ზასეკინის ელჩობაში უფრო მეტ წევრს მიანიჭეს უფლებამოსილება - ა. ჟიროვოი-ზასეკინისა და თ. ზასეცკის გარდა, მდივან ი. შარაპოვსა და მის თანაშემწე პ. დანილოვსაც გააჩნდათ უფლებამოსილება ირანის შაჰთან მოლაპარაკების გამართვის. [9]

ალექსანდრე ჟიროვოი-ზასეკინის ელჩობის ძირითადი მიზანი იყო ირანთან მოსკოვს გაეფორმებინა ორმხრივი ხელშეკრულება, რომელიც გულისხმობდა ფართო თანამშრომლობას ყველა სფეროში, მათ შორის, სამხედრო სფეროშიც. ეს პოლიტიკური კავშირი კი მიმართული იყო, ძირითადად, ოსმალეთის წინააღმდეგ, რომელიც ავსტრიასთან დაზავებას ცდილობდა და შემდეგ მთელ თავის ძალებს ირანის წინააღმდეგ მიმართავდა. ასევე, ელჩს ევალებოდა, შაჰისთვის ეცნობებინა, რომ ტარყის შამხალი ითხოვდა მდინარე კოისუზე ციხე-სიმაგრის მოშლას.[10] აღსანიშნავია, რომ 1589-1590 წლებში რუსებმა ხელთ იგდეს მდინარე კოისუს შესართავი, სადაც 1594 წელს ააშენეს ციხე-სიმაგრე და გარნიზონი ჩააყენეს.[11] რაც შეეხება კახეთის საკითხს, ალექსანდრე ჟიროვოი-ზასეკინს მხოლოდ მაშინ უნდა წარემართა მოლაპარაკება ამ თემაზე, როდესაც თვით შაჰი წამოიწყებდა მასზე საუბარს. ასევე, ირანში თუ იმ დროს იქნებოდა ინდოეთის ელჩი, რუსთა ელჩს უნდა დაემყარებინა მასთან ურთიერთობა. გარდა ამისა, ა. თ. ჟიროვოი-ზასეკინს დავალებული ჰქონდა, შეესწავლა ირანის საშინაო და საგარეო საქმეებიც.[12]

---

[8] იქვე, 321, 333-334, 360; ტივაძე, „ირანთან ურთიერთობის საკითხი რუსეთის საგარეო პოლიტიკაში“: 194, 196.

[9] Бушев, История посольств и дипломатических отношений Русского и Иранского государств в 1586-1612 г., 276, 318-319, 359.

[10] იქვე, 362-374; ტივაძე, „ირანთან ურთიერთობის საკითხი რუსეთის საგარეო პოლიტიკაში“: 195-196; Инесса Владимировна Магилина, «Проект антитурецкого договора между Московским государством и Персией в 1600 году (реконструкция по материалам посольства кн. А. Ф. Жирого-Засекина)», Вестник ВолГУ, Серия 4. № 1 (13) (2008): 145-150.

[11] Кушева, Народы Северного Кавказа и их связи с Россией в XVI-XVII вв., 282-283.

[12] ტივაძე, „ირანთან ურთიერთობის საკითხი რუსეთის საგარეო პოლიტიკაში“: 196; Бушев, История посольств и дипломатических отношений Русского и Иранского государств в 1586-1612 г., 367, 369-370.

ალექსანდრე ჟიროვოი-ზასეკინის ელჩობა 1600 წლის სექტემბერში დაიძრა ირანის მიმართულებით. ისინი იმავე წლის 23 სექტემბერს ქ. ნიჟნი ნოვგოროდში ჩავიდნენ, ხოლო 1 ოქტომბერს კი - ქ. ყაზანში. სწორედ ამ ქალაქში დაეწია ჟიროვოი-ზასეკინის ელჩობა, სამშობლოში დაბრუნებულ ფერ ყული ბეგის ელჩობას, საიდანც შემდეგ მათ ერთად იმგზავრეს. ასევე, უნდა ითქვას, რომ რუსთა ელჩმა თავის ირანელ კოლეგას შესთავაზა, რომ ქ. ყაზანში გამოეზამთრებინათ, რადგან საკმარისად აცივდა და სამდინარო ტრანსპორტით გადაადგილება გაჭირდებოდა. ეს წინადადება მიუღებელი აღმოჩნდა ფერ ყული ბეგისთვის და ორივე ქვეყნის საელჩოებმა გააგრძელეს გზა. ეს ორივე ელჩობა 6 ოქტომბერს დაიძრა ქ. ყაზანიდან და 15 ოქტომბერს ჩავიდა ქ. სამარაში. ამჯერად, კიდევ უფრო აცივდა და ჟიროვოი-ზასეკინმა, თარჯიმან პეტრე მურატოვის მეშვეობით, კვლავ შესთავაზა ირანელ ელჩს, ამჯერად, ქ. სამარაში გამოზამთრება, მაგრამ არც ეს აზრი მოიწონა ფერ ყული ბეგმა და დიდი რისკის ფასად, ორივე ელჩობამ 18 ოქტომბერს გააგრძელა გზა. ისინი, გარკვეული დაბრკოლებების გადალახვის შემდეგ, 25 ოქტომბერს ჩავიდნენ ქ. სარატოვში, სადაც გამოიზამთრეს და მომდევნო, 1601 წლის 2 მაისს მიაღწიეს ქ. ასტრახანამდე.[13] უნდა ითქვას, რომ 1601 წლის 28 თებერვალს ასტრახანის გუბერნატორებმა ფ. ა. პოგოდკოვმა და ო. ტ. პლეშჩეევმა მოსკოვიდან მიიღეს მეფე ბორის გოდუნოვის წერილი, რომელსაც თან ერთვოდა საღვთო რომის იმპერატორ რუდოლფ II ჰაბსბურგის (1576-1612) ირანის შაჰისადმი გაგზავნილი რწმუნებათა სიგელები. გუბერნატორებს მიეცათ მკაფიო მითითებები, რომ საიმპერატორო წერილები არა ირანის ელჩისთვის, არამედ ა. თ. ჟიროვო-ზასეკინისთვის გადაეცათ. სწორედ მოსკოვის ელჩს უნდა გადაეცა შაჰ აბასისთვის იმპერატორ რუდოლფის რწმუნებათა სიგელები პირველივე აუდიენციაზე. [14]

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პ. პ. ბუშევის ნაშრომის მონაცემებით, ფერ ყული ბეგის ელჩობა ივნისის შუა რიცხვებში გაემგზავრა ირანში, ხოლო ჟიროვოი-ზასეკინის ელჩობის შესახებ წერს, რომ ის ირანში ვერ ჩავიდა. ეს ისტორიკოსი მიიჩნევს, რომ ჟიროვოი-ზასეკინის ელჩობა წინა ელჩობის (ტიუფიაკინ-ემელიანოვის) მსგავსად, უშედეგოდ დასრულდა, რადგან გაურკვეველი მიზეზების გამო, ის ასტრახანიდან უკან გააბრუნეს. ამ ისტორიკოსის მოსაზრებით, ამის მიზეზი შეიძლება ყოფილიყო, XVI-XVII საუკუნეთა მიჯნაზე, მოსკოვის სახელ-მწიფოში დიდი მოუსავლიანობა, რომელმაც გამოიწვია შიმშილობა, ან მეფე ბორის გოდუნოვის განაწყენება ავსტრიელებთან მოლაპარაკებისას ანტიოსმალურ კავშირზე. თუმცა, აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ჟიროვოი-ზასეკინის ელჩობის ისტორიის მსჯელობისას, პ. პ. ბუშევი თავის ნაშრომში იმოწმებს ისტორიკოს ვ. კორსაკოვას მონაცემებს, რომელსაც ამ ელჩობის სამშობლოში დაბრუნების თარიღად 1603 წელი აქვს დასახელებული, რაზეც ეჭვს გამოთქვამს პ. პ. ბუშევი და სვამს კითხვას: საიდან დაბრუნდა ნახსენები ელჩობა მოსკოვში - ირანიდან თუ ასტრახანიდან? [15]

---

[13] Бушев, История посольств и дипломатических отношений Русского и Иранского государств в 1586-1612 г., 350-355; 374-375.

[14] Магилина, «Проект антитурецкого договора между Московским государством и Персией в 1600 году»: 150-151.

[15] Бушев, История посольств и дипломатических отношений Русского и Иранского государств в 1586-1612 г., 358, 376-378

ა. თ. ჟიროვოი-ზასეკინის ელჩობის ასტრახანიდან უკან, მოსკოვში გამოხმობის მოსაზრებას იზიარებს თავის ნაშრომში მკვლევარ-ისტორიკოსი შარაფუტდინ მაგომაროვიც.[16]

ამასთან ერთად, ამ საკითხთან დაკავშირებით არსებობს სხვა მონაცემები. კერძოდ, მკვლევარ-ისტორიკოს თამარ ტივაძის ნაშრომში ნათლად ჩანს, რომ ა. თ. ჟიროვოი-ზასეკინის ელჩობა ჩავიდა ირანში, სადაც დიდებული შეხვედრა მოუწყვეს. ირანის შაჰს, რომელიც ოსმალეთის წინააღმდეგ ომისთვის ემზადებოდა, მოსკოვის სახელმწიფოს კეთილგანწყობა ესაჭიროებოდა. თუმცა, როგორც ჩანს, მათ შორის ხელშეკრულების გაფორმება ვერც ამ ელჩობამ შეძლო და 1603 წელს (და არა 1601 წელს, როგორც ბუშევის ნაშრომშია) მოსკოვში დაბრუნდა.[17] აგრეთვე, მკვლევარ-ისტორიკოსი ინესა მაგილინა თავის ნაშრომში, არ იზიარებს იმ ისტორიკოსთა მოსაზრებებს, რომლებიც მიიჩნევენ, რომ ჟიროვოი-ზასეკინის ელჩობამ მხოლოდ ასტრახანამდე მიაღწია და ირანში ჩასვლა ვერ შეძლო. ამ ისტორიკოსს, სხვადასხვა წყაროებზე დაყრდნობით, საკმაოდ დამაჯერებლად აქვს გადმოცემული, რომ ჟიროვოი-ზასეკინისა და ზასეცკის ელჩობამ ჩააღწია ირანაში და იქ შეხვდა შაჰ აბას I-ს. ინესა მაგილინას მონაცემებით, რუსთა და ირანელთა ელჩობებმა გზა ერთად გააგრძელეს და 1601 წლის ივნისის შუა რიცხვებში საზღვაო გზით გაემართნენ ირანის მიმართულებით, ჩავიდნენ ირანში და რუსთა ელჩობამ ირანის შაჰთან დაიწყო მოლაპარაკებები 1601 წლის შემოდგომაზე. ჟიროვოი-ზასეკინის ელჩობის მთავარი მიზანი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მოსკოვის სახელმწიფოსა და სეფიანთა ირანს შორის ხელშეკრულების გაფორმება იყო ოსმალეთის იმპერიის წინააღმდეგ. მათ შორის მოლაპარაკებები კი გაიმართა, მაგრამ, როგორც ჩანს, ამ ქვეყნებს შორის ხელშეკრულება არ დადებულა. საკმაოდ ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ ი. მაგილინას ნაშრომში ნახსენებია, რომ ჟიროვოი-ზასეკინის ელჩობა მოსკოვში დაბრუნდა 1603 წელს მთლიანი შემადგენლობით, ირანის შაჰის მიერ მოსკოვში წარგზავნილ ახალ ელჩობასთან ერთად, რომელსაც ლაჩინ ბეგი მეთაურობდა.[18]

ჩვენ სავსებით ვიზიარებთ თ. ტივაძისა და ი. მაგილინას მოსაზრებებს და მივიჩნევთ, რომ ალექსანდრე ჟიროვოი-ზასეკინისა და თემირ ზასეცკის ელჩობამ მოახერხა ირანში ჩასვლა და მოლაპარაკებები გამართა ირანის შაჰთან. ვფიქრობთ, რუსთა ამ ელჩობის გამოძახილი უნდა ყოფილიყო ის ფაქტი, რომ შაჰ აბასმა მაშინვე მოსკოვში გააგზავნა თავისი ელჩობა. ამით ის აუწყებდა მეფე ბორის გოდუნოვს, რომ ირანის მხარე იწყებდა ომს ოსმალეთის სახელმწიფოს წინააღმდეგ. ლაჩინ ბეგის ელჩობა (1602-1604), ა. თ. ჟიროვოი-ზასეკინის ელჩობასთან ერთად, 1602 წლის შემოდგომაზე გაემგზავრა ირანიდან მოსკოვის სახელმწიფოში, 1603 წლის 28 აგვისტოს ჩავიდა მოსკოვში და სექტემბრის პირველ რიცხვებში წარუდგა მეფე ბორის გოდუნოვს აუდიენციაზე.[19]

---

[16] Шарафутдин Арифович Магарамов, «Западно-прикаспийские области в Русско-персидских дипломатических отношениях на рубеже XVI-XVII вв.» Вестник Института ИАЭ ДНЦ РАН, Махачкала. №3 (2013): 5-12.

[17] ტივაძე, „ირანთან ურთიერთობის საკითხი რუსეთის საგარეო პოლიტიკაში“: 196.

[18] Магилина, «Проект антитурецкого договора между Московским государством и Персией в 1600 году»: 151-152.

[19] ტივაძე, „ირანთან ურთიერთობის საკითხი რუსეთის საგარეო პოლიტიკაში“: 196; Бушев, История посольств и дипломатических отношений Русского и Иранского государств в 1586-

ამ ფაქტთან დაკავშირებით, ყურადღებას იპყრობს მკვლევარ-ისტორიკოს თემურ კორაევის ნაშრომი, სადაც ვკითხულობთ, რომ ბორის გოდუნოვის გამეფების შემდეგ, 1602 წელს, ირანის საელჩომ მოსკოვში ფარულად დადო შეთანხმება ოსმალეთის წინააღმდეგ ერთობლივი სამხედრო მოქმედებების შესახებ. [20] ამ შემთხვევაში, ჩვენ ყურადღებას ვაქცევთ ამ ნაშრომში აღნიშნული ხელშეკრულების თარიღს, რასაც ვერ გავიზიარებთ. ცნობილია, რომ ირანის ელჩობა ლაჩინ ბეგის მეთაურობით, ზემოთ ნახსენებ ა. თ ჟიროვოი-ზასეკინის ელჩობასთან ერთად, 1602 წლის შემოდგომაზე გაემგზავრა მოსკოვის სახელმწიფოს სამეფო კარზე და მხოლოდ, მომდევნო, 1603 წლის ზაფხულში, ჩავიდა ქ. მოსკოვში, რაზეც ჩვენ ზემოთ გვქონდა საუბარი.

ასევე, დავამატებთ, რომ ამ ამბებიდან მალევე, იმავე 1603 წლის შემოდგომაზე, სათანადო მომზადების შემდეგ, სეფიანთა სახელმწიფომ ომი განაახლა ოსმალეთის იმპერიის წინააღმდეგ.[21]

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურია - References

1. გელაშვილი, ნანა. *ირან-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან, (XVI ს.),* თბილისი: „მეცნიერება“, 1995.
2. დემეტრაშვილი, კახაბერ. „სეფიანთა ირანსა და მოსკოვის სახელმწიფოს შორის რეგულარული დიპლომატიური ურთიერთობის დაწყების მიზეზები (XVI საუკუნის 80-იანი წლები)”. დუნია №1 (2023): 77-83.
3. კაციტაძე, დავით. *ირანის ისტორია. III-XVIII საუკუნეები*. თბილისი: ჰოროსი XXI, 2009.
4. სვანიძე, მიხეილ. *თურქეთის ისტორია (1299-2000).* თბილისი: არტანუჯი, 2007.
5. ტივაძე, თამარ. „ირანთან ურთიერთობის საკითხი რუსეთის საგარეო პოლიტიკაში XVI-XVII საუკუნეთა მიჯნაზე“. თსუ-ს შრომები. 113. ისტორიულ მეცნიერებათა სერია V (1965): 175-216.
6. ჯიქია, სერგი. *იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ.* ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა, შესავალი და შენიშვნები დაურთო სერგი ჯიქიამ. თბილისი: „მეცნიერება“, 1964.
7. Бушев, Петр Павлович. *История посольств и дипломатических отношений Русского и Иранского государств в 1586-1612 гг.* Москва, Издательство “Наука”, 1976.
8. Кораев, Тимур Казбекович. «Московская Русь и Сафавидский Иран в Прикаспии XVI - XVII вв.: соседство, соперничество, сосуществование», Исторический вестник (Москва), том 11, № 158 (2015): 154-199.

1612 гг., 379-380. Магилина, «Проект антитурецкого договора между Московским государством и Персией в 1600 году»: 151-152.

[20] Тимур Казбекович Кораев, «Московская Русь и Сафавидский Иран в Прикаспии XVI - XVII вв.: соседство, соперничество, сосуществование», Исторический вестник (Москва), том 11, № 158 (2015): 179.

[21] კაციტაძე, ირანის ისტორია, 410; მიხეილ სვანიძე, თურქეთის ისტორია, 192; ჯიქია, იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, 79-81.

9. Кушева, Екатерина Николаевна. *Народы Северного Кавказа и их связи с Россией в XVI-XVII вв.* Москва: Издательство Академии Наук СССР, 1963.
10. Магарамов Шарафутдин Арифович. «Западно-прикаспийские области в Русско-персидских дипломатических отношениях на рубеже XVI-XVII вв.» Вестник Института ИАЭ ДНЦ РАН, Махачкала. №3 (2013): 5-12.
11. Магилина Инесса Владимировна. «Проект антитурецкого договора между Московским государством и Персией в 1600 году (реконструкция по материалам посольства кн. А. Ф. Жирого-Засекина)», Вестник ВолГУ. Серия 4. № 1 (13) (2008): 145-155.
12. Эфендиев, Октай Абдулкерим оглы. *Азербаиджанское государство Сефевидов в XVI веке*. Баку: Издательство «Элм», 1981.